ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6023777

ნომერი: AR1906972

თარიღი : 16.06.2022

გაცემის თარიღი : 06.07.2022

გაცნობის თარიღი : 07.07.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ახმეტელის მეტროს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ნუცუბიძე პ/ნ 01005013245
- ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის 195

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 თებერვლის №4861075 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 16 ივნისს №AR1906972 განცხადებით მომართა პაატა ნუცუბიძემ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 14 თებერვლის

№4861075 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 თებერვლის №4861075 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.11.12.015.152) მრავალბინიანი კომპლექსის - "ა" ბლოკის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 18 მაისის №4955126 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 18 მაისიდან 2022 წლის 18 მაისის ჩათვლით.
სამსახურის 2022 წლის 25 მაისის №5954182 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2020 წლის 18 მაისის №4955126 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა გაგრძელდა 2024 წლის 25 მაისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 თებერვლის №4861075 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად 13672.6 კვ.მ-ის ნაცვლად 13848.5 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 2508.2 კვ.მ-ის ნაცვლად 2127.3 კვ.მ-ის, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 3273.8 კვ.მ-ის ნაცვლად 2640.5 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 106.8 კვ.მ-ის ნაცვლად 517.5 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 5692.7 კვ.მ-ის ნაცვლად 4914.4 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 25316.7 კვ.მ-ის ნაცვლად 24048.2 კვ.მ-ის დაფიქსირებას. განმცხადებელს, ასევე, სურს ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან სარდაფის ფართობის - 62.6 კვ.მ-ის ამოღება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. აღსანიშნია, რომ სარდაფის ფართობი შეთანხმებულ გეგმებზე არ ფიქსირდება. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 თებერვლის №4861075 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას სარდაფის ფართობი: 62.6 კვ.მ., ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 13848.5 კვ.მ, საზაფხულო ფართობად: 2127.3 კვ.მ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად: 2640.5 კვ.მ, დამხმარე ფართობად: 517.5 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად: 4914.4 კვ.მ, საერთო ფართობად: 24048.2 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 თებერვლის №4861075 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 თებერვლის №4861075 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 თებერვლის №4861075 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.